



08.02.2013

ევროპის სამზებლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა საქართველოში



შეუერთდი განხილვას

როგორ მიმდინარეობს ევროპის სამზებლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა? - ამ კითხვას პასუხი 2010 წლის შედეგების მიხედვით ფონდმა „ღია საზოგადოება - საქართველომ“ და მისმა პარტნიორმა ექსპერტებმა გასცეს. ფონდმა ანგარიში ამ საკითხზე 2011 წლის მარტში გამოაქვეყნა.

ახალი კონსტიტუცია, რომელიც სახელმწიფოს პოლიტიკურ პროცესში დაბალანსების მექანიზმების ინსტიტუციონალიზაციას უზრუნველყოფს, ცვლილებები საარჩევნო კოდექსში, საჯარო საფინანსო მართვის რეფორმა, ახალი საგადასახადო კოდექსი, სოციალური მომსახურების სისტემის შეცვლა, სიღარიბის შემცირების მხარდაჭერა, თავისუფალი და დამოუკიდებელი მედია, გარემოს დაცვითი საკითხები, შიდა კონფლიქტების მოგვარება - ეს ის პრიორიტეტული საკითხებია, რომელზეც ევროკავშირი და საქართველო სამზებლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის ფარგლებში

2006 წლიდან მუშაობენ.

ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ წარმომადგენლების განცხადებით 2010 წელს, ისევე როგორც წინა წლებში რიგ საკითხებში განხორციელებული რეფორმები სახელმწიფო ადმინისტრაციული სისტემის მოდერნიზაციისა და საბაზრო ეკონომიკისთვის მინიმალური ჩარევის გარეშე შექმნილ იყო მიმართული. თუმცა ქვეყანამ დემოკრატიული ინსტიტუტების და პროცედურების დანერგვის მხრივ დიდი წინსვლა ვერ აჩვენა.

„ევროპის სამეზობლო პოლიტიკის პრიორიტეტების განხორციელების საკითხებში 2010 წლის მნიშვნელოვან მოვლენებად შეიძლება ახალი კონსტიტუციის პროექტის შემუშავება და 2010 წლის 30 მაისის თვითმმართველობის არჩევნები დავასახელოთ,“ - განაცხადა ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ხელმძღვანელმა ქეთი ხუციშვილმა - „თუმცა ასევე უნდა აღინიშნოს პარლამენტის უფლება-მოსილების დაკნინების ხარჯზე აღმასრულებელი ხელისუფლების გაძლიერება, თავისუფალი მედია გარეშე შეზღუდვა, საკუთრების უფლების დარღვევის შემთხვევები და ა.შ.“

საკონსტიტუციო რეფორმა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელმა თამარ ჩუგოშვილმა შეაფასა. როგორც მან აღნიშნა, საკონსტიტუციო პროექტის განხილვის პროცესის გაშუქება ცალმხრივად ხდებოდა და საზოგადოებას არ ჰქონდა საშუალება ქვეყნის უმაღლესი დოკუმენტი შეეფასებინა.

„ის სისტემა, რაც პარლამენტმა დაამტკიცა, ვერ უზრუნველყოფს სახელისუფლებო შტოებს შორის დაბალანსებულ ურთიერთობას. პარლამენტის როლი გაზრდის ნაცვლად, შეიძლება ითქვას, რომ დასუსტებულ იქნა კია და მთავრობა დომინირებს“, - განაცხადა ჩუგოშვილმა.

მისი თქმით, ხარვეზებია პარლამენტის მიერ მთავრობის მიმართ უნდობლობის გამოცხადების პროცედურაშიც, ასევე მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის წესსა და სისხლის საპროცესო კოდექსში. მისი აზრით, გაუგებარია მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნამდე მათი სამ წლიანი გამოსაცდელი ვადის აუცილებლობა.

„ვფიქრობ, ეს ვადა იმისთვის სჭირდებათ, რომ გამოსცადონ მოსამართლე, იქნება თუ არა მორჩილი. თუ არ იქნება, შესაძლოა უვადოდ აღარ დანიშნონ“, - განაცხადა ჩუგოშვილმა.

მისი თქმით, სისხლის საპროცესო კოდექსი არაადეკვატურია და უმკაცრესად სჯის ისეთ დამნაშავესაც, რომელიც მაგალითად 8 ლარიან კალამს მოიპარავს.

ფონდის ანგარიშში მედიაში არსებული გამოწვევებიც მოხვდა. მათ შორის ყურადღება მედია გარეშე გაუმჯობესების საკითხზე გამახვილდა. საზოგადოებრივ და

პოლიტიკურ საქმეთა ინსტიტუტის წარმომადგენელმა ნინო დანელიამ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენელთა ერთერთ მთავარ მიღწევად 2010 წელს ხელისუფლების დაპირება დაასახელა, რომლის თანახმადაც მედიამფლობელთა მესაკუთრეები ოფშორში დარეგისტრირებული კომპანიების წარმომადგენლები აღარ იქნებიან. თუმცა დაპირება დაპირებად დარჩა და ეს კანონი ჯერ არ ამოქმედებულა.

„სამწუხაროა, რომ მესაკუთრეობის საკითხთან ერთად პარლამენტმა არ განიხილა კანონპროექტი, რომელიც კომპლექსურად მოიცავდა მედია გარემოს გაჯანსაღების პროცესს“, - აღნიშნა ნინო დანელიამ.

მან მედიაში მონოპოლიზაციის საფრთხეზეც ისაუბრა. როგორც აღნიშნა, სამი ნაციონალური არხისგან სარეკლამო დროს მხოლოდ ერთი სარეკლამო კომპანია ყიდულობს და შემდეგ თავად ყიდის სხვა სარეკლამო კომპანიებზე. დანელიას თქმით, შესაძლოა მონოპოლიური სისტემა მედია ბაზარზე ახლადშექმნილმა კომპანიამ „GMG“-მაც შექმნას. მან 2011 წლიდან ერთდროულად 6 ლიცენზიით მაუწყებლობის უფლება მოიპოვა და შესაძლოა 6 ტელეკომპანიის - იმედის, რუსთავი 2-ის, რეალ TV-ს, საქართველოს, სტერეოს და Music Box-ის მფლობელი გახდეს. როგორც დანელია აცხადებს მოლაპარაკებები ამ საკითხზე კომპანიებს შორის უკვე მიმდინარეობს.

ანგარიშში საუბარია, რომ 2010 წლის განმავლობაში ჟურნალისტებს საჯარო სამსახურებიდან ინფორმაციის მიღება გაუჭირდათ. ძალოვან უწყებებთან ერთად ყველაზე დახურულ უწყებად თბილისის მერიაც იქცა.

ანგარიშის ავტორები ყურადღებას ეკონომიკისა და დასაქმების სფეროზეც ამახვილებენ. ეკონომიკის ექსპერტის რეზო საყვეარიშვილის განცხადებით ჯერაც არ არსებობს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი შრომის კანონმდებლობა.

„ამ საკითხის რეფორმირება დღის წესრიგში არ დგას და როგორც პრემიერ მინისტრმა, ნიკა გილაურმა განაცხადა - არც დადგება, რადგან საქართველო ამის აუცილებლობას ვერ ხედავს“, - აღნიშნა რეზო საყვეარიშვილმა.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულებად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოში ანტიმონოპოლიური სამსახურის აღდგენა. თუმცა ჯერჯერობით კონკრეტული გეგმები და ინსტიტუტები ამ მიმართულებით არ ჩამოყალიბებულა. ასევე დაიწყო საუბარი სურსათის უვნებლობის შესახებ, თუმცა ქმედითი ნაბიჯები არც ამ მიმართულებით გადადგმულა.

2010 წელი მნიშვნელოვანი იყო საარჩევნო გარემოს კუთხითაც. 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა ამ პროცესში არსებული ხარვეზები კიდევ ერთხელ წარმოაჩინა. ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ ხელმძღვანელის ეკა სირაძე-

დელონეს განცხადებით, ერთერთი მთავარი პრობლემა ამ არჩევნებზე მმართველი პარტიის მხრიდან ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება იყო. ცესკო კი ამ საკითხის გამოკვლევისას საკმაოდ აქტიური არ იყო.

„გამოჩნდა კიდევ ერთი ხარვეზი კანონმდებლობაში. არ არსებობს გამყოფი ხაზი პარტიისა და სახელისუფლებო საქმიანობებს შორის, რამაც ბევრი პრობლემა შექმნა“, - აღნიშნა ეკა სირაძე-დელონემ.

„სამართლიანი არჩევნების“ ხელმძღვანელის განმარტებით დადებითი მოვლენა იყო, რომ საქართველოს ხელისუფლება დათანხმდა არჩევნებზე მაჟორიტარული სისტემის დაყოფის ცვლილებას და ხმების გამოთანაბრების პროცესს. მისი თქმით, ასევე მნიშვნელოვანი მიღწევა იყო, რომ დედაქალაქის მერის კანდიდატურა არჩევითი გახდა.

„თუმცა არგუმენტი, რომ სხვა თვითმმართველი ქალაქების ხელმძღვანელების კანდიდატურა რატომ არ შეიძლებოდა ყოფილიყო არჩევითი, ჩემი აზრით საკმაოდ უსუსური იყო. ხელისუფლებამ განაცხადა, რომ თვითმმართველი ქალაქები მზად არ იყვნენ“, - განაცხადა სირაძე-დელონემ.

კიდევ ერთი ფაქტი, რაც 2010 წლის არჩევნებს ახლდა საარჩევნო უბნებთან მყოფი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები იყვნენ. მათი ქმედება საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე „სამართლიანი არჩევნების“ ხელმძღვანელმა შეაფასა, როგორც „ამომრჩევლის თავისუფალ ნებაზე ზეწოლა“.

ამ შეფასებების მოსმენის შემდეგ საკუთარი მოსაზრებები ანგარიშის პრეზენტაციაზე მყოფმა სტუმრებმაც გამოთქვეს. მათ შორის ყველაზე მკვეთრი პოზიცია საფრანგეთის ელჩს ერიკ ფურნიეს ჰქონდა:

„გისმენთ და მთლიანად დეპრესიაში ვარ. თქვენი ანგარიშს თუ მოვუსმენთ ნიშნავს, რომ ევროპული კავშირის მთელი დახმარება ზღვაში წვეთია საქართველოსთვის. პრაქტიკულად არაფერი შეცვლილა, მედია არ არის თავისუფალი, არ არის შრომის პროფესიული კავშირი, ძალიან მცირეა პროგრესი ეკონომიკაში. ეს უბედურებაა. სამწუხაროდ ამ ანგარიშის მოსმენის შემდეგ მექმნება შთაბეჭდილება, რომ ნეობოლშევიკურ სახელმწიფოზე საუბრობთ, სადაც საერთოდ არ არის თავისუფლება და სადაც ახალგაზრდა ადამიანს 8 ლარიანი ნივთის მოპარვის გამო სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევენ. ეს ძალიან სახიფათოა.“

მე ვიმედოვნებ, რომ ჩვენ შევცვლით შეხედულებას ამ ბნელ სურათზე, რაც თქვენ დაგვიხატეთ. საჭიროა მთლიანად გადავაფასოთ ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, შესაძლოა ჩვენ ეჭვქვეშ დავაყენოთ ის საქმიანობა, რასაც აქ ვახორციელებთ.

ვფიქრობ, ჩვენ მეტი სემინარი უნდა ჩავატაროთ ამ საკითხებზე და დავდოთ კონკრეტული ნაბიჯები, რაც რეალურად შეცვლის სიტუაციას. ის, რაც თქვენ მოგვიყვებით ევროპელ მოქალაქეებს, ვწუხვარ, მაგრამ დეპრესიაში ჩააგდებს", - განაცხადა ერიოკ ფურნიემ.

როგორც მისი ამ კომენტარის შემდეგ ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ხელმძღვანელმა აღნიშნა, მათ მხოლოდ პრობლემებზე გააკეთეს აქცენტი, რომ ხელისუფლებას არსებული ხარვეზები დაანახონ.

„უნდა აღინიშნოს, რომ რეფორმებს დადებითი შედეგებიც ახლავს“, - განაცხადა ქეთი ხუციშვილმა.



Add a comment...

Post to Facebook

Posting as Natalia Ksovreli ([Change](#))

[Comment](#)

Facebook social plugin

